

# საქართველოს კანონი

**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**  
**მუხლი 1.** „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხ. 143) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
2. 30-ე მუხლის „ვ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ<sup>1</sup>) აფუძნებს სკოლისგარეშე საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით;“.

3. 55-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებები, გარდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისა, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით ფინანსდებიან.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 ოქტომბრიდან.

*საქართველოს 2017 წლის 23 მარტის კანონი №494 - ვებგვერდი, 27.03.2017წ.*

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

8 ივნისი 2016 წ.

N5367-IIIს

